



შენაბამოსობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

8 თებერვალი 2021 წელი

N 18/36

ეგზ. N 1

**ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში**

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	8
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტის საგანი	8
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	9
	აუდიტის მიზანი	9
	აუდიტის მეთოდოლოგია	9
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
	2. აუდიტის მიგნებები	11
	საკონტაქტო ინფორმაცია	30

ტერმინები და შემოკლებები

მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი ერთეული ყაზბეგის მუნიციპალიტეტი.

მერია – თვითმმართველი ერთეულის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია.

საკრებულო – თვითმმართველი ერთეულის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ი/მ – ინდივიდუალური მეწარმე.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

სახელმწიფო შესყიდვების მართვა

მმართველობითი გადაწყვეტილებები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2018-2019 წლებში, შესაბამისად, 31%¹ და 17%² დააკლდა.

მოუვლელი და გამოუყენებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

მერიის მიერ დანერგილი არასათანადო კონტროლის მექანიზმების გამო, ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა რეაბილიტაციაზე არსებითი მოცულობის ფინანსური რესურსი დაიხარჯა, მოუვლელია, რის გამოც ამ ობიექტებით სრულფასოვნად ვერ სარგებლობენ.

უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა პროცესები წარმართეს ისე, რომ ჩაიბარეს ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა ხარისხი არ იყო სათანადოდ დადასტურებული. შედეგად, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, არაგონივრულად მაღალი გამოცდილების მოთხოვნის გამო, რიგ შემთხვევაში ტენდერები არ შედგა. აღნიშნულის შემდეგ, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით, კანონმდებლობის დარღვევით, ხელშეკრულებები გაფორმდა ისეთ მიმწოდებლებთან, რომლებსაც არ გააჩნდათ მსგავსი მოცულობის და სპეციფიკის სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

აფიდავიტის დარღვევის რისკი

საგზაო სამუშაოს შესყიდვისას ერთ შემთხვევაში გამოვლინდა რისკი იმისა, რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები, კონკურენტული გარემოს ხელოვნურად შექმნის მიზნით, მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს არსებული გარემოების გამოსავლენად შესაბამისი ღონისძიებები არ განუხორციელებია.

სახელმწიფო შესყიდვის არასწორი ფორმით განხორციელებული შესყიდვები

მუნიციპალიტეტმა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით, განახორციელა 3 შესყიდვა. აღნიშნული ვითარება არ წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან შესაძლებელი იყო მათი წინასწარი დაგეგმვა და ტენდერის გამოცხადება.

¹ ვერ იქნა ათვისებული 3,215.5 ათასი ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 2,021.9 ათასი ლარი.

შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ნაკლოვანებები

შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიამ

- ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას გაითვალისწინოს მათი პრიორიტეტულობა და საჭიროება. განხორციელებული პროექტების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამართულად ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული პროექტების შემდგომი მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტმა დანერგოს კონტროლის სათანადო მექანიზმები, განსაზღვროს პასუხისმგებელი პირები და მუდმივი მონიტორინგის გზით უზრუნველყოს ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის კონტროლი.
- შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებასა და პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა გამოიყენოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მექანიზმები, მიმართოს მიმწოდებლებს და უზრუნველყოს დაზიანებული პროექტების საგარანტიო ვადაში გამოსწორება.
- შეიმუშაოს შესყიდვების მართვის სტრატეგია და დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესყიდვის პროცესის მართლზომიერად წარმართვას, სატენდერო დოკუმენტაციის გონივრულად შემუშავებასა და კონკურენტული გარემოს შექმნას. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად და ხარისხიანად შესრულებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს კონკრეტული ფაქტები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებები.

- უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარად წარმართვა, რომ შესაძლებელი იყოს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლა და შეფასება, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობის, პროდუქტიულობის გაზრდასა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2018-2019 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ 2018-2019 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში – 27,714.0 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ინსტრუქცია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის N16 დადგენილება;
-)/ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N39 დადგენილება;
-)/ სხვა სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ დოკუმენტური შემოწმება;
-)/ მონაცემთა ანალიზი;
-)/ ფიზიკური დათვალიერება;
-)/ ინტერვიუ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 6 ადმინისტრაციულ ერთეულს,³ მისი ფართობია 1082 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 3.8 ათასს.⁴ ადმინისტრაციული ცენტრია დაბა სტეფანწმინდა.

2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები დახარჯულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 3,453.8 ათასი ლარი; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 73.8 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია – 18,825.0 ათასი ლარი; განათლება – 2,612.3 ათასი ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი – 2,066.4 ათასი ლარი და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 682.7 ათასი ლარი.

³ www.reestri.gov.ge.

⁴ www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge, 2019 წლის საშუალო წლიური მაჩვენებელი.

2. აუდიტის მიგნებები

2. ფინანსური რესურსების მართვა

2.1.1 ბიუჯეტის შესრულებისა და ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁵ მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა შემდეგი შედეგების მიღწევა: ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში საბიუჯეტო პროცესი უნდა წარმართოს იმგვარად, რომ არ მოხდეს თავისუფალი ნაშთის უკონტროლო დაგროვება.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, შემოსულობებმა 2018-2019 წლებში – 25,092.2 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 27,714.0 ათასი ლარი შეადგინა.

ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი 1. შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2018-2019 წწ. (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წელი			2019 წელი			საკასო შესრულების %
	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	
შემოსულობები	8,644.6	11,202.3	130%	12,250.5	13,889.9	113%	25,092.2
შემოსავლები	8,644.6	11,021.0	127%	11,981.5	13,609.8	114%	24,630.8
არაფინანსური აქტივების კლება	0.0	181.3	-	269.0	280.1	104%	461.4
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	15,722.6	11,131.4	71%	19,480.6	16,582.6	85%	27,714.0
ხარჯები	5,215.1	3,839.4	74%	7,962.0	7,089.8	89%	10,929.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,507.5	7,292.0	69%	11,503.0	9,481.1	83%	16,773.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	15.6	11.6	74%	11.6
ნაშთის ცვლილება	-7,078.0	70.9	-	-7,230.1	-2,692.6	-	-

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, „ხარჯების“ მუხლის შესრულების მაჩვენებელი 2018-2019 წლებში დაბალია და შესაბამისად, შეადგენს 74%-ს და 89%-ს. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა

⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1; მუხლი 77, პუნქტები: 8, 9; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

ღონისძიება არ განხორციელდა, კერძოდ: 2018 წელს დაგეგმილი მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის შეძენა, ღირებულებით – 800.0 ათასი ლარი; კულტურის სახლის ინვენტარის შეძენა, ღირებულებით – 110.0 ათასი ლარი; ოფისის ხარჯები – 50.0 ათასი ლარი; 2019 წელს ოფისის ხარჯები – 387.0 ათასი ლარი და სხვ.

ასევე დაბალია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შესრულების მაჩვენებელი და 2018-2019 წლებში შეადგენს 69%-სა და 83%-ს. შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად იმის შედეგია, რომ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები დაუსრულებელია. კერძოდ: მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა წყალმომარაგების სამუშაოები, საგზაო ინფრასტრუქტურის, საბავშვო ბაღის, ხიდის, სკოლის ეზოს და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

გარდა დაგეგმილი და აუთვისებელი თანხებისა, მუნიციპალიტეტს 2018-2019 წლებში თავისუფალი ნაშთის სახით გააჩნდა არსებითი მოცულობის თანხები, რომელთაც არ იყენებდა. კერძოდ, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 7,172.5 ათასი ლარი, საიდანაც დაიგეგმა 7,078.0 ათასი ლარის ხარჯვა, თუმცა ნაშთის დაგროვებამ 70.9 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 7,243.4 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 4,687.7 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

2019 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ნაშთის გამოყენება 7,230.1 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების გამოყენებამ 2,692.6 ათასი ლარი შეადგინა. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთი 4,550.8 ათასი ლარი იყო. აქედან 2,487.2 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.⁶

აღსანიშნავია, რომ წლის ბოლოს დიდი ოდენობით დარჩენილი საბიუჯეტო ნაშთების შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად ამისა, არსებული პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

მუნიციპალიტეტმა 2018-2019 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და ამასთანავე, დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

დასკვნა

⁶ თავისუფალი ნაშთის დაგროვება ძირითადად განპირობებულია სხვადასხვა მუხლებიდან დარჩენილი ეკონომიით და ჭარბი შემოსავლების მიღებით.

რეკომენდაცია N1

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2.2.1 მოუვლელი და გამოუყენებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

კრიტერიუმი: შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა დააფინანსოს ისეთი პროექტები, რომლებიც პრიორიტეტულია და შეესაბამება მოსახლეობის საჭიროებას. რეაბილიტაციის შემდეგ მათი გამართულად ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს პროექტების მოვლა-პატრონობა.⁷

გამოვლენილი გარემოება 1: 2017 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა ელექტრონული ტენდერით, შეისყიდა გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე განთავსებული ე.წ. „გადასახედის“ ნაგებობის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის⁸ კეთილმოწყობის სამუშაოები.⁹ 2018 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა¹⁰ ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისათვის ავტომატური დაშვებისა და გადახდის სისტემა.

აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზანი იყო ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო გადახდის ტერმინალების მოწყობით, მუნიციპალიტეტი გეგმავდა ვიზიტორებისაგან დამატებით შემოსავლის მიღებას. ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტმა სულ დახარჯა 609.0 ათასი ლარი.

შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ მოწყობილი ინფრასტრუქტურული პროექტი სათანადოდ არ ფუნქციონირებს, კერძოდ: შესვლისა და გადახდის სისტემა არ გამოიყენება, მოწყობილი ინფრასტრუქტურა მოუვლელია.¹¹

მიუხედავად იმისა, რომ ობიექტის დასრულებიდან გასულია 2 წელი, პროექტის განხორციელების მიზანი მიღწეული არ არის. აღნიშნული ობიექტიდან მუნიციპალიტეტს შემოსავლები არ მიუღია. შედეგად, პროექტის განხორციელებაზე დახარჯული 609.0 ათასი ლარი არაეფექტიანი ხარჯია.

გამოვლენილი გარემოება 2: 2019 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 6 სოფელში¹² განხორციელდა სკვერების კეთილმოწყობის

⁷ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 19, პუნქტი „ი“.

⁸ 5500 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

⁹ მიმწოდებელი შპს „იუ თი ჯი“, ხელშეკრულება N48. SPA170006542, ღირებულება - 563.1 ათასი ლარი. პროექტი ითვალისწინებდა „გადასახედზე“ არსებული ნაგებობის მოზაიკის აღდგენას, მისი განათების მონტაჟს, ტერიტორიის ბაზალტის ქვაფენილით მოპირკეთებას, საპარკინგე და საინფორმაციო ადგილების მოწყობას, ასევე სხვა კეთილმოწყობის სამუშაოებს, რომლებიც დასრულდა 2018 წელს.

¹⁰ მიმწოდებელი შპს „კასტა ტრედი“, ხელშეკრულება N72, NAT180014712 (ტერმინალი და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა), ღირებულებით - 45.9 ათასი ლარი.

¹¹ ობიექტიდან არ არის გატანილი სამშენებლო ნარჩენები (ხრეში), ზოგიერთ ადგილზე დაზიანებულია ქვაფენილი, დაჟანგულია გარე განათების ბოძები და სხვ.

¹² სიონი, არშა, გარბანი, ხურთისი, ფხელშე და ახალციხე.

დასკვნა

რეკომენდაცია N2

სამუშაოები, საერთო ღირებულებით – 60.4 ათასი ლარი.¹³ აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა შესრულებული პროექტები. შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტი სკვერების მოვლა-პატრონობას არ ახორციელებს. მოწყობილი სკვერები მოუვლელია,¹⁴ რაც ხელს უშლის მათ დანიშნულებით გამოყენებას.

შესწავლით ირკვევა, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია ა(ა)იპ – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური, რომელსაც დებულებით ევალება სკვერებისა და პარკების მოვლა-დასუფთავება. მიუხედავად აღნიშნული ვალდებულებისა, ა(ა)იპ დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს.

ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა რეაბილიტაციაზე დახარჯულია 669.4 ათასი ლარი, დანიშნულებით არ გამოიყენება და არ არის მიღწეული პროექტების განხორციელების საბოლოო მიზანი. შესაბამისად, მათ რეაბილიტაციაზე გაწეულია არაეფექტიანი ხარჯი.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას გაითვალისწინოს მათი პრიორიტეტულობა და საჭიროება. განხორციელებული პროექტების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამართულად ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული პროექტების შემდგომი მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტმა დანერგოს კონტროლის სათანადო მექანიზმები, განსაზღვროს პასუხისმგებელი პირები და მუდმივი მონიტორინგის გზით უზრუნველყოს ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის კონტროლი.

2.2.2 უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით.

გამოვლენილი გარემოება: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა საბავშვო ბაღების მშენებლობის,¹⁵ რიტუალების სახლის,¹⁶ ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოები.¹⁷

წარმოდგენილი ინფორმაციით, შესრულებული პროექტები მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა საექსპერტო¹⁸ კომპანიებისა და მერიის ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნის საფუძველზე. ექსპერტიზით შემოწმებულია

¹³ სოფელ სიონში სკვერის მოწყობის ღირებულება შეადგენს 10.1 ათას ლარს, CMR190103707; სოფელ არშაში - 13.4 ათას ლარს, CMR190167377; სოფელ გარბანში - 10.2 ათას ლარს, CMR190103707; სოფელ ხურთისში - 8.4 ათას ლარს, CMR190103707; სოფელ ფხელშეში - 8.4 ათას ლარს, CMR19010527; სოფელ ახალციხეში - 9.9 ათას ლარს, CMR190102362.

¹⁴ გაუთიბავი და დაუსუფთავებელი.

¹⁵ SPA170008429, სოფელი ყანობი; NAT180014469, სოფელი არშა.

¹⁶ NAT180016247, სოფელი გორისციხე.

¹⁷ CMR190099821, სოფლების: სნოსა და სიონის.

¹⁸ სოფელ ყანობის ბაღის ექსპერტიზა მუნიციპალიტეტის დაკვეთით განახორციელა საზედამხებელო კომპანია შპს „მშენ-ექსპერტმა“; სოფელ გორისციხის რიტუალების სახლისა და სოფელ არშის საბავშვო ბაღის ექსპერტიზა, მიმწოდებლის დაკვეთით განახორციელა საექსპერტო კომპანია შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტმა“, ხოლო სოფლების: სნოს და სიონის ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოები შემოწმებულია მხოლოდ ინსპექტირების ჯგუფის მიერ.

შესრულებული სამუშაოების მოცულობები და ხარისხი. შესწავლით ირკვევა, რომ ექსპერტიზის მიერ ხარისხის დასადგენად საჭირო ლაბორატორიული კვლევები განხორციელებული არ იყო, შესაბამისად, ჩატარებული ექსპერტიზა არ არის სათანადო და ვერ უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების ხარისხის შეფასებას. ინსპექტირების ჯგუფის მიერ შესწავლილია სამუშაოების მოცულობები, ხოლო ხარისხი შეფასებული არ არის. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა სამუშაოები და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა მათი ღირებულება. აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პროექტები, რა დროსაც გამოვლინდა, რომ სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას, კერძოდ:

მუნიციპალიტეტმა 2017 წლის ივლისში, ელექტრონული ტენდერით,¹⁹ შეისყიდა სოფელ ყანოზში საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები, ღირებულებით – 189.7 ათასი ლარი.

შესწავლით ირკვევა, რომ მიმწოდებელი სამუშაოების ვადაში დასრულების მიზნით არღვევდა მშენებლობის ტექნოლოგიურ ციკლს და ახლად გაღესილი კედლების სათანადოდ გამომშრობის გარეშე ახორციელებდა შემდგომ სამუშაოებს. აღნიშნულს ადასტურებს სამუშაოების ზედამხედველი კომპანია „მშენ-ექსპერტის“ მიერ მუნიციპალიტეტის მერისათვის წარდგენილი წერილი.²⁰ აუდიტის ჯგუფის მიერ პროექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ.²¹ მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო, მოეთხოვა მიმწოდებლისათვის მშენებლობის პროცესში გამოვლენილი შეუსაბამობის გამოსწორება, რაც არ განუხორციელებია. სამუშაოების არასათანადოდ შესრულების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა სამუშაოები და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა მისი ღირებულება.

გარდა ამისა, დათვალიერებით გამოვლინდა 108.7 ათასი ლარის ღირებულების ხარვეზებით შესრულებული სამუშაოები. კერძოდ, დაზიანებულია სოფელ არშის საბავშვო ბაღის,²² სოფელ გორისციხის რიტუალების სახლისა²³ და სოფლების: სნოს და სიონის ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოები.²⁴

მიმწოდებლებთან გაფორმებული ყველა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამუშაოების საგარანტიო ვადას, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით გამოესწორებინა ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა სამუშაოების ჩაბარების შემდეგ, ერთ შემთხვევაში²⁵ მიმართა მიმწოდებელს პროექტზე არსებული დაზიანების გამოსწორების მოთხოვნით, რომელიც მიმწოდებელმა არ გამოასწორა, ხოლო დანარჩენ ობიექტებზე ხარვეზების

¹⁹ მიმწოდებელი შპს „ალგო 2000“, SPA170008429. ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 7 თვით.

²⁰ 2018 წლის 15 ივნისი.

²¹ შენობის კედლები ძლიერ დანესტიანებულია, რის გამოც ჭერი და კედლები დაზიანებულია და ჩამოცვენილია საღებავი.

²² NAT180014469. სოფელ არშის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით – 45.1 ათასი ლარი. კედლები და ჭერი დაზარალულია, ოთახებში ჩამოცვენილია შპაკლი და საღებავი.

²³ NAT180016247, სოფელ გორისციხის რიტუალების სახლის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 40.2 ათასი ლარი, შენობის შიდა კედლებიდან ჩამოცვენილია შპაკლი და საღებავი.

²⁴ CMR190099821 სოფლების: სნოს და სიონის ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 23.4 ათასი ლარი. შენობის შიდა კედლები დანესტიანებულია. ჩამოცვენილია საღებავი; სოფელ სიონის ამბულატორიის კედლების შიდა და გარე მხარეები დაზარალულია და ჩამოცვენილია ბათქაში.

²⁵ SPA 170008429 სოფელ ყანოზის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დასკვნა

გამოსწორების მოთხოვნით არ მიუმართავს. მერიას მათ მიმართ სხვა სამართლებრივი ღონისძიებები არ გაუტარებია.

მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა პროცესები წარმართეს ისე, რომ ჩაიბარეს 298.4 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა ხარისხი სათანადოდ დადასტურებული არ იყო. შედეგად, სამუშაოები დაზიანებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას.

რეკომენდაცია N3

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებასა და პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა გამოიყენოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მექანიზმები, მიმართოს მიმწოდებლებს და უზრუნველყოს დაზიანებული პროექტების საგარანტიო ვადაში გამოსწორება.

2.3 სახელმწიფო

შესყიდვების მართვა

2.3.1

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით,²⁶ გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას შესაძლებელია შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული ფორმით. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ იმ მიმწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს სატენდერო/საკონკურსო პირობებს შემდეგი პრინციპების დაცვით: დაუშვებელია მიმწოდებლის გამოცდილება და სხვა პერსონალური მახასიათებლები (წლიური ბრუნვა, დასაქმებულთა რაოდენობა და სხვ.) იყოს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ანალოგიურ მონაცემებზე უარესი.

ამ პრინციპების დაუცველობა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ობიექტურ გარემოებას (გარემოებებს), რაც უნდა დასაბუთდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ და დაერთოს ხელშეკრულებას.

გამოვლენილი გარემოება 1: 2019 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიამ 3-ჯერ გამოაცხადა ტენდერი,²⁷ დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების (პირველი ეტაპი) ჩატარების მიზნით, ღირებულებით – 294.0 ათასი ლარი. აღნიშნული ტენდერები არ შედგა.

მიზეზი, რის გამოც ტენდერები არ შედგა, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი გამოცდილებაა – პრეტენდენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში უნდა ჰქონოდა შესრულებული 2,646.3 ათასი ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოები, რაც 9-ჯერ აღემატება სავარაუდო ღირებულებას.

²⁶ „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“, მუხლი 4, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ბ“.

²⁷ NAT190010156; NAT190012247; NAT190013974.

მუნიციპალიტეტს არ ჩაურატებია ბაზრის კვლევა, არ მოუძიებია პოტენციური მიმწოდებლები, მოძიებული ინფორმაციის ანალიზით არ განუსაზღვრავს ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნები პრეტენდენტების გამოცდილებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად, მუნიციპალიტეტმა 2019 წლის 22 აგვისტოს, გამარტივებული შესყიდვით გააფორმა ხელშეკრულება,²⁸ ღირებულებით – 294.0 ათასი ლარი, რომელიც უნდა დასრულებულიყო 20 ოქტომბერს (60 დღე).

მიმწოდებლის გამოცდილების დასადგენად, აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა დამატებითი აუდიტორული პროცედურები შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შედეგად გამოვლინდა, რომ მიმწოდებელს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული.²⁹ ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით იქნა შერჩეული მიმწოდებელი. შესაბამისად, კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა წინასწარ შერჩეულ პირთან, რომელსაც არ გააჩნდა სათანადო გამოცდილება.

საკითხის შესწავლით გაირკვა, რომ მიმწოდებელს სამუშაოების შესრულების ვადა სხვადასხვა მიზეზით (გაუთვალისწინებელი სამუშაოები და კლიმატური პირობები) 3-ჯერ გაუგრძელდა, ჯამში – 60 დღით. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელმა მაინც ვერ დაასრულა სამუშაოები და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 190.5 ათას ლარამდე,³⁰ ანუ ამოღებულ იქნა ის სამუშაოები, რომლის დასრულებას მიმწოდებელი ვერ ახერხებდა.³¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ მერია მოქმედებდა არა მუნიციპალიტეტის, არამედ მიმწოდებლის ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნულ რისკს ადასტურებს ის გარემოება, რომ მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების გამო, შესაბამისი ზომების მიღების ნაცვლად, მერიამ ხარჯთაღრიცხვიდან სამუშაოების ამოღებით ხელი შეუწყო მიმწოდებელს, რათა მასზე არ გავრცელებულიყო ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

აუდიტის ჯგუფის მიერ სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ სამუშაოების ნაწილი დაზიანებულია და გამოსწორების მიზნით საჭიროებს დამატებითი ხარჯის გაწევას. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების ნაწილი მიმდინარე პერიოდშიც დაუსრულებელია,³² ხოლო ნაწილი შესრულდა მნიშვნელოვანი დაგვიანებით.

გამოვლენილი გარემოება 2: 2019 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიამ ორჯერ გამოაცხადა ტენდერი,³³ დაბა სტეფანწმინდაში, სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის

²⁸ CMR190139459, მიმწოდებელი ი/მ რევაზ იუკურიძე.

²⁹ ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტური მტკიცებულებები პრეტენდენტის მიერ მსგავსი სახის სამუშაოების შესრულების თაობაზე.

³⁰ მიმწოდებელს აუნაზღაურდა 134.0 ათასი ლარი.

³¹ ბეტონის საფარის მოწყობა, კაუჩუკის იატაკის დაგება, გამწვანების სამუშაოები და სხვ.

³² სამუშაოების დასასრულებლად 2020 წელს გამოცხადებულია ტენდერი.

³³ NAT190010630, NAT190012082. ღირებულება – 280.7 ათასი ლარი.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობის მიზნით. აღნიშნული ტენდერები დასრულდა უშედეგოდ.

მიზეზი, რის გამოც ტენდერები არ შედგა, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი გამოცდილებაა, რის მიხედვითაც პრეტენდენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში უნდა ჰქონოდა შესრულებული 1,263.4 ათასი ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოები, რაც 5-ჯერ აღემატება სავარაუდო ღირებულებას.

ზემოაღნიშნული სამშენებლო სამუშაოების შესაძენად 2019 წლის 31 ივლისს მუნიციპალიტეტმა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით, გამარტივებული შესყიდვით, ხელშეკრულება³⁴ გააფორმა მიმწოდებელთან, რომელსაც არ გააჩნდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი გამოცდილება, რაც კანონმდებლობით დაუშვებელია. ნაკისრი ვალდებულებიდან მიმწოდებელმა შეასრულა მხოლოდ 63.1 ათასი ლარის სამუშაო,³⁵ რაც მთლიანი მოცულობის 22%-ს შეადგენს. 2019 წლის 17 დეკემბერს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულება შეწყდა. ამასთანავე, წინა გარემოებისგან განსხვავებით, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს დააკისრა პირგასამტეხლო³⁶ და მიმართა შესყიდვების სააგენტოს „შავ სიაში“ რეგისტრაციის მოთხოვნით.

ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვის პროცესის არასათანადო შესწავლისა და კანონდარღვევით შერჩეული მიმწოდებლის გამო, ობიექტი დაუსრულებელია.

გამოვლენილი გარემოება 3: 2019 წლის 22 აგვისტოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ნება დაერთო, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეეძინა მუნიციპალიტეტის სოფლების: არშის, კარკურის და ახალციხის სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალის, ასევე სოფლების: ცდოსა და გარბანის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები. მუნიციპალიტეტის განმარტებით, გადაუდებელი აუცილობლობა გამოიწვია სოფლების: არშისა და ცდოს სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალის შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის უშედეგოდ დასრულებამ (სატენდერო დოკუმენტაციით, პრეტენდენტებისგან მოთხოვნილი იყო 1,394.7 ათასი ლარის გამოცდილება, რაც 6-ჯერ აღემატება სავარაუდო ღირებულებას), ხოლო დანარჩენ სოფლებზე – საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაგვიანებით მიწოდებამ. გამომდინარე აღნიშნულიდან, აუცილებელი იყო სამუშაოების დასრულება ზამთრის სეზონის დადგომამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობა რჩებოდა წყლის გარეშე და ზიანი ადგებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფიქსირებული არგუმენტების გათვალისწინებით, 2019 წლის 26 აგვისტოს შესყიდვების სააგენტომ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა 2019 წლის 4 სექტემბერს გააფორმა ხელშეკრულება³⁷ სოფლების: არშის, კარკურის, ახალციხის სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალის მოწყობის, ასევე სოფლების: ცდოსა

³⁴ CMR190132885, მიმწოდებელი შპს „მარდი“, სავარაუდო ღირებულება - 280.7 ათასი ლარი.

³⁵ აღნიშნული თანხა სრულად აუნაზღაურდა მიმწოდებელს.

³⁶ დარიცხული პირგასამტეხლო, 15.9 ათასი ლარი მიმწოდებლის მიერ არ არის გადახდილი.

³⁷ CMR190145622, მიმწოდებელი სს „თბილისი“.

და გარბნის სათავე ნაგებობის მოწყობაზე, ღირებულებით – 773.8 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 60 დღეში, 2019 წლის 3 ნოემბერს.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, ხარჯთაღრიცხვის კორექტირებისა და კლიმატური პირობების მიზეზით ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვით საბოლოო ვადა გაგრძელდა 2020 წლის 8 თებერვლამდე, ხოლო ღირებულება შემცირდა და შეადგინა – 412.4 ათასი ლარი. განხორციელებული ცვლილებებით შეწყდა სოფელ გარბნის სათავე ნაგებობის,³⁸ ასევე სოფელ არშის მაგისტრალისა და სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები.³⁹

ვადის გაგრძელების და სამუშაოების მოცულობის შემცირების მიუხედავად, მიმწოდებელმა მაინც ვერ დაასრულა სამუშაოები და ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულება შეწყდა. ამასთანავე, შუალედური მიღება-ჩაბარებების საფუძველზე მიმწოდებლისათვის გადახდილია 259.4 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მიზეზი, რის გამოც განხორციელდა სამუშაოების გამარტივებული გზით შესყიდვა, იყო სამუშაოების ზამთრის დადგომამდე დასრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობა რჩებოდა სასმელი წყლის გარეშე. მიუხედავად აღნიშნულისა, სამუშაოების დაწყებიდან გასულია ერთ წელზე მეტი პერიოდი, თუმცა სამუშაოები დაუსრულებელია. შედეგად, როგორც მიმწოდებლის, ასევე მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების ქმედებით, მნიშვნელოვანი ზიანი ადგება მოსახლეობის ინტერესებს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცესის არასათანადო მართვის გამო,⁴⁰ რიგ შემთხვევაში ტენდერები არ შედგა. აღნიშნულის შემდეგ, გადაუდებელი აუცილებლობის მიზეზით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით, კანონმდებლობის დარღვევით, ხელშეკრულებები საერთო ღირებულებით – 1,348.5 ათასი ლარი, გაფორმდა ისეთ მიმწოდებლებთან, რომლებსაც არ გააჩნდათ შესაბამისი რესურსი და სამუშაოების წარმართვის შესაძლებლობა. შედეგად, სამუშაოები ვერ ხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად და ობიექტები დაუსრულებელია. ამასთანავე, შესყიდვების პროცესები იმართება არაკონკურენტულ გარემოში, რაც გავლენას ახდენს შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფაზე.

მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს შესყიდვების მართვის სტრატეგია და დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შესყიდვის პროცესის მართლზომიერად წარმართვას, სატენდერო დოკუმენტაციის გონივრულად შემუშავებასა და კონკურენტული გარემოს შექმნას. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად და ხარისხიანად შესრულებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს კონკრეტული ფაქტები,

დასკვნა

რეკომენდაცია N4

³⁸ შეწყვეტის მიზეზად დასახელდა მოსახლეობის წინააღმდეგობა, კერძოდ, ლითონის მილების ნაცვლად მოითხოვეს პოლიეთილენის მილები, რომლის ჩანაცვლებას ვერ ახერხებდა მიმწოდებელი.

³⁹ შეწყვეტის მიზეზად დასახელდა კლიმატური პირობების გაურესება.

⁴⁰ კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციით აწესებს მოთხოვნებს პრეტენდენტების გამოცდილების შესახებ, რომელიც არაგონივრულად მაღალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით.

გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებები.

2.3.2 აფიდავიტის დარღვევის რისკი

კრიტერიუმი: შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით,⁴¹ სატენდერო წინადადების წარდგენა შესაძლებელია აფიდავიტის პირობებზე დათანხმების შემდეგ.⁴²

აფიდავიტის პირობებზე თანხმობით, ტენდერში მონაწილეობის მსურველი ადასტურებს, რომ სატენდერო წინადადება ან მისი კომპონენტი პრეტენდენტს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების (მისი შესაბამისი კომპონენტის) განსაჯაროების მომენტამდე. ასევე მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, კონკურენტებს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება.⁴³

აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.⁴⁴

გამოვლენილი გარემოება: 2018 წლის 12 მარტს ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა დაბა სტეფანწმინდაში, ელიის მონასტრამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, გამოაცხადა ტენდერი.⁴⁵ ტენდერში მონაწილეობა მიიღო 2-მა კომპანიამ.⁴⁶ პრეტენდენტებს შორის ვაჭრობა არ გამართულა და დაბალი ფასის წარმომდგენმა კომპანია შპს „პალადამ“ (472.0 ათასი ლარი), მიუხედავად იმისა, რომ გააჩნდა შესაბამისი გამოცდილება, არ დააზუსტა სატენდერო დოკუმენტაცია,⁴⁷ რის გამოც მიიღო დისკვალიფიკაცია. შედეგად, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ერ ტე დე“ და გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით – 590.0 ათასი ლარი.

სამუშაოების შესასრულებლად შპს „ერ ტე დესთან“ ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წლის 30 აპრილს. იმავე დღეს შპს „ერ ტე დე“ ხელშეკრულება გააფორმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან.⁴⁸ აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შპს „ერ ტე დეს“ დირექტორის წარმომადგენელი იყო შპს „პალადას“ დირექტორი.⁴⁹ შესაბამისად, აღნიშნული გარემოება მიუთითებს რისკზე, რომ ტენდერში მონაწილე ორივე კომპანია, მეტი სარგებლის მიღების მიზნით, მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით.

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიების მიერ შემოთავაზებულ ფასებს შორის არსებითი სხვაობა (118.0 ათასი ლარი) დაფიქსირდა, ხოლო დაბალი ფასის წარმომდგენმა კომპანიამ სატენდერო დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის გამო მიიღო დისკვალიფიკაცია. მუნიციპალიტეტს შეეძლო შეესწავლა პრეტენდენტების ურთიერთდაკავშირებულობის საკითხი, რაც არ განუხორციელებია.

⁴¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „შ“.

⁴² „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, მუხლი 21, პუნქტი 3.

⁴³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმა და პირობები (დანართი N1).

⁴⁴ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 195¹.

⁴⁵ SPA180002812. სავარაუდო ღირებულება - 598.7 ათასი ლარი.

⁴⁶ შპს „ერ ტე დე“ და შპს „პალადამ“.

⁴⁷ ხარჯთაღრიცხვა და ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

⁴⁸ სოფელ ჭანიეთის ცენტრის გავლით, სოფელ ქაქუთის დასაწყისამდე გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 739.4 ათასი ლარი. DAP180000015.

⁴⁹ ილია კეკელიძე.

დასკვნა

შესყიდვის პროცესებიდან გამომდინარე, წარმოიშვა რისკი, რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები მეტი სარგებლის მიღების მიზნით, მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით და ხელოვნურად შექმნეს კონკურენტული გარემო. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს არსებული გარემოების გამოსავლენად შესაბამისი ღონისძიებები არ განუხორციელებია.

2.4 მმართველობითი გადაწყვეტილებები

2.4.1 ტენდერის გვერდის ავლით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის არასწორი ფორმის შერჩევა

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით,⁵⁰ გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას შესაძლებელია, შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული ფორმით.

გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული ან/და, რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით ან, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს, ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას.

გამოვლენილი გარემოება: 2019 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით განახორციელა 3 შესყიდვა, კერძოდ,

-) დაბა გუდაურისა და სოფელ კობისათვის შეისყიდა 100 ერთეული ნაგვის კონტეინერი,⁵¹ ღირებულებით – 86.0 ათასი ლარი;
-) სოფელ აჩხოტში⁵² სამარაგო რეზერვუარისა და სატუმბოს მოწყობის სამუშაო, ღირებულებით – 289.7 ათასი ლარი;
-) საახალწლო გასანათებელი მოწყობილობები და ნაძვის ხე,⁵³ მათი მონტაჟის ჩათვლით, ღირებულებით – 69.9 ათასი ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ნაგვის კონტეინერების გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის მიზეზად დასახელდა ტურისტების გაზრდილი ნაკადი, რომლის გამო ნარჩენების შესაგროვებლად არსებული ნაგვის ყუთები არ აღმოჩნდა საკმარისი.

სამარაგო რეზერვუარისა და სატუმბოს მოწყობის სამუშაოს შესყიდვის საფუძველი გახდა სასმელი წყლის სისტემის დაზიანება.

საახალწლო დეკორაციების შესაძენად გამარტივებული შესყიდვის მიზეზი, მუნიციპალიტეტის განმარტებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის დაგვიანებით გამოყოფა გახდა.

აღნიშნული განმარტებები ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება მისაღებად, რადგან: ნაგვის კონტეინერების შესყიდვის მიზნით, მუნიციპალიტეტს შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციით, შეეძლო წინასწარ გაეთვალისწინებინა ტურისტების მოსალოდნელი სიმრავლე.

სოფელ აჩხოტში მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ აღნიშნული პრობლემა არსებობდა წლების

⁵⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ლ“.

⁵¹ CMR200014371, მიმწოდებელი შპს „ელკოპლასტ ჯორჯია“.

⁵² CMR190150395, მიმწოდებელი შპს „უნივერსალ სერვისი“.

⁵³ CMR190201326, მიმწოდებელი შპს „ჯეო სტრიმი“.

დასკვნა

მანძილზე,⁵⁴ შესაბამისად, შესყიდვის საჭიროების განსაზღვრა და დაგეგმვა წინასწარ იყო შესაძლებელი. ასევე არ წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას სახალწლო დეკორაციების შესყიდვაც, რადგან მისი გათვალისწინება წინასწარ შეიძლებოდა.

აღსანიშნავია, რომ ტენდერების გვერდის ავლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში. მიუხედავად აღნიშნულისა, მსგავსი დარღვევებია მიმდინარე პერიოდშიც.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, განხორციელებულ 3 შესყიდვაში, საერთო ღირებულებით – 445.6 ათასი ლარი, გამოიყენა შესყიდვის არასწორი ფორმა. დაფიქსირებული გარემოებები არ წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან შესაძლებელი იყო მათი წინასწარი დაგეგმვა და ტენდერის გამოცხადება. ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკიდან გამომდინარე, შესყიდვების ტენდერის გზით განხორციელება წარმოშობს სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობას.

2.4.2 საკონსულტაციო მომსახურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების მიხედვით,⁵⁵ სამსახურის ფუნქციებია: მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ორგანიზება, ბიუჯეტის დაგეგმვა-ანალიზი, შემოსულობებისა და გადასახდელების განწერა, ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს დებულებით⁵⁶ ევალება საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაცია, მართვა და სხვ., ხოლო იურიდიულ სამსახურს⁵⁷ – მერიის, მერიის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიული კონსულტაციები, სამართლებრივი დასკვნების მომზადება, მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში და სხვ.

მოქმედი კანონმდებლობის⁵⁸ თანახმად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართოს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1%.

გამოვლენილი გარემოება: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა 2 სხვადასხვა ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით შეისყიდა საკონსულტაციო მომსახურება, საერთო ღირებულებით – 14.9 ათასი ლარი, მათ შორის, ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციას გადაუხადა 10.0 ათასი ლარი, ხოლო შპს „ლიდერ გრუპ ლეგალ სერვისს“ – 4.9 ათასი ლარი.

⁵⁴ საკითხი დაფიქსირებულია სოფელ აჩოტში მერის წარმომადგენლის მოხსენებით ბარათში (05.07.2019).

⁵⁵ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N24 დადგენილებით დამტკიცებული „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულება“, მუხლი 3.

⁵⁶ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N22 დადგენილებით დამტკიცებული „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულება“, მუხლი 3.

⁵⁷ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N27 დადგენილებით დამტკიცებული „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულება“, მუხლი 5.

⁵⁸ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101, პუნქტი 2.

ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის⁵⁹ ფარგლებში 2018-2019 წლებში ასოციაციამ მუნიციპალიტეტში მხოლოდ 3 ტრენინგი ჩაატარა და ასევე დაეხმარა ინვენტარიზაციის ჩატარებაში.

რაც შეეხება შპს „ლიდერ გრუპ ლეგალ სერვისს“, მას ხელშეკრულებით ევალუბოდა მუნიციპალიტეტისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა.⁶⁰ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შესყიდვა განპირობებული იყო ადმინისტრაციულ სარჩელზე სასამართლოსთვის რამდენიმე შესაგებლის მომზადების აუცილებლობით.⁶¹ აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში შექმნილია იურიდიული სამსახური, რომელსაც დებულებით ევალუბა სასამართლო დავების წარმართვა და მუნიციპალიტეტისათვის საჭირო სხვა იურიდიული საკითხების მოწესრიგება. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა მუნიციპალიტეტის მიერ დასაბუთებული არ არის.

2018-2019 წლებში მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ სამსახურებში, ასევე შესყიდვების განყოფილებაში დასაქმებული იყო 10 თანამშრომელი, რომელთა ჯამურმა შრომის ანაზღაურებამ აღნიშნულ პერიოდში 237.0 ათასი ლარი შეადგინა. იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლები საჭიროებდნენ დამატებით ცოდნას ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით, ნაცვლად საკონსულტაციო მომსახურების მიღებისა, მერია ვალდებული იყო, შრომის ანაზღაურების არანაკლებ 1% მიემართა მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ მიმართულებით საბიუჯეტო სახსრები არ დახარჯულა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები იმისა, თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა, ვინაიდან მუნიციპალიტეტს გააჩნია შრომითი რესურსი და იგი ვალდებულია, საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი 14.9 ათასი ლარი არარაციონალური ხარჯია.

2.4.3 ხელფასის გაცემის საფუძვლების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის⁶² შესაბამისად, „ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს: ორგანიზაციის ბრძანებები მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების შესაბამისად, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმით (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) და შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.“

⁵⁹ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიამ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 2018 წლის 9 იანვარს. ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის ფორმირებაში დახმარება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების აღრიცხვიანობის მოწესრიგება და სხვ.

⁶⁰ CMR180153804.

⁶¹ მიმწოდებელმა შესაგებელი მოამზადა მიწის ნაკვეთის საკუთრებაში აღიარებასა და ასევე მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის დადასტურებაზე მუნიციპალიტეტის უარის, თანამშრომლის გათავისუფლებისა და მიმწოდებელი კომპანიის „შვ სიაში“ დარეგისტრირების საკითხებზე.

⁶² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 30, პუნქტი 14.

დასკვნა

გამოვლენილი გარემოება: 2018 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა 4.6 ათას ლარად შეიძინა⁶³ ადმინისტრაციულ შენობაში თანამშრომელთა სამუშაო საათების აღრიცხვის სისტემა (ტურნიკეტი), რომელიც დღეის მდგომარეობით არ ფუნქციონირებს. გაუმართაობის გამომწვევ მიზეზად დასახელებულია ინტერნეტპროვაიდერის ცვლილება და ახალ სერვერზე გადასვლა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პრობლემის აღმოფხვრის მიზნით მიმწოდებელთან რამდენიმეჯერ შედგა სატელეფონო კომუნიკაცია, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, ხარვეზი არ გამოუსწორებია და სისტემა გაუმართავია.

სისტემის გაუმართაობის პერიოდში მუნიციპალიტეტში ასევე არ აწარმოებდნენ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის აღრიცხვის ჟურნალს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ვერ ახორციელებდა თანამშრომელთა სამსახურში მოსვლისა და წასვლის დროის იდენტიფიცირებასა და შესაბამის კონტროლს.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2018-2019 წლებში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური არ აწარმოებდა მოქმედი კანონმდებლობით⁶⁴ დადგენილი, სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელს და ხელფასების დარიცხვა/გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ საშტატო ნუსხის საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის მიერ დამონტაჟებული ტურნიკეტი არ მუშაობს. შედეგად, მის შემენაზე დახარჯული 4.6 ათასი ლარი არაეფექტიანი ხარჯია. ამასთანავე, მუნიციპალიტეტში სამუშაო დროის აღრიცხვის მიზნით სხვა საშუალებები არ გამოიყენება, შესაბამისად, ხელფასების გაანგარიშება/გაცემა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამოდ, რის გამოც წარმოიქმნება საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი და არაეფექტიანი ხარჯვის რისკები.

2.4.4 საფუძვლის გარეშე გაცემული დანამატები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის⁶⁵ მოთხოვნებით, „მოხელეს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის, ეძლევა სახელფასო დანამატი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.“ ასევე „მოხელის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაო სრულდება მხოლოდ მოხელის ზემდგომი თანამდებობის პირის წერილობითი დავალების საფუძველზე.“

გამოვლენილი გარემოება: 2019 წლის ნოემბერსა და დეკემბერში მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებზე, შესაბამისი სამსახურების უფროსების მოხსენებითი ბარათებისა და მერის ბრძანების საფუძველზე, გაიცა 60.6 ათასი ლარის დანამატი ზეგანაკვეთური მუშაობისთვის. მიუხედავად კანონმდებლობის მოთხოვნისა, არ ფიქსირდება თანამშრომლებზე შესაბამისი ზემდგომი თანამდებობის პირის წერილობითი დავალებები. შესაბამისად, ვერ ხდება იდენტიფიცირება, კონკრეტულად რა ზეგანაკვეთური/დამატებითი სამუშაო უნდა განეხორციელებინა ან/და განახორციელა თანამშრომელმა. აუდიტის ჯგუფს ასევე ვერ წარედგინა რაიმე სახის დოკუმენტი ზეგანაკვეთური

⁶³ CMR180073053, მიმწოდებელი შპს GNT.

⁶⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N449 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ დანართის ფორმა N019.

⁶⁵ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9, პუნქტი 1.

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 62, პუნქტი 1.

დასკვნა

მუშაობის დადასტურების შესახებ, მათ შორის, შეუძლებელია თანამშრომელთა ნამუშევარი დროის იდენტიფიცირება, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვის ელექტრონული სისტემა და ამ მიზნით არც შესაბამის ჟურნალს აწარმოებენ.

მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა თანამშრომელთა მიერ ზეგანაკვეთურად ნამუშევარ დროს. შედეგად, აღნიშნული პერიოდისათვის დასაქმებულთა მიერ ზეგანაკვეთურად მუშაობის საფუძვლით სახელფასო დანამატის გაცემის პრაქტიკა ფორმალური ხასიათისაა.

2.4.5 საკრებულოს წევრების ანაზღაურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის წევრებზე კანონმდებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას.⁶⁶ მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. მერიის მიერ აღნიშნული ხარჯი უნდა ანაზღაურდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ხარჯის დამადასტურებელია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.⁶⁷

გამოვლენილი გარემოება: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს 2018-2019 წლებში ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ სულ 33.1 ათასი ლარი.⁶⁸ საკრებულოს დადგენილებით,⁶⁹ აღნიშნულ პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად განსაზღვრული იყო ზღვრული მოცულობა, ყოველთვიურად – 390 ლარი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ

⁶⁶ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁶⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

⁶⁸ 2018 წელი – 19.2 ათასი ლარი, 2019 წელი – 13.9 ათასი ლარი.

⁶⁹ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის N18 დადგენილება.

დასკვნა

2.4.6 დასუფთავების მიუღებელი მოსაკრებელი

ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ძირითად შემთხვევებში საკრებულოს წევრებზე ყოველთვიურად გაცემულია ფიქსირებული თანხა, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე, რადგან შეუძლებელია საკრებულოს ყველა წევრს ჰქონდეს ერთი და იგივე შესასრულებელი დავალება და იდენტური ხარჯი. აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრებზე კანონმდებლობის დარღვევით ანაზღაურებული ხარჯების შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებული პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 33.1 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

კრიტერიუმი: საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის სახე, ოდენობა, შემოღების წესი და მოსაკრებლის გადამხდელთა უფლება-მოვალეობები რეგულირდება კანონით „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“. კანონის მიხედვით, ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.⁷⁰ ამ კანონით დადგენილი წესით, ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულომ კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილებით⁷¹ დააწესა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი. მერია ვალდებულია უზრუნველყოს საკრებულოს მიერ განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირება.

გამოვლენილი გარემოება: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტში, დასუფთავების მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ შეადგინა: 2018 წელს – 31.0 ათასი ლარი, 2019 წელს – 49.5 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“, საკრებულოს დადგენილების მიხედვით, დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელები არიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელი ფიზიკური და იურიდიული პირები. მიუხედავად ამისა, მიღებული თანხები გადახდილია მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირების მიერ.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა მისაღები შემოსავლის სრული აღრიცხვა. აბონენტთა რაოდენობა და მისაღები შემოსავლები განისაზღვრება ეკონომიკური განვითარებისა და სტატისტიკის განყოფილების მიერ აღრიცხული იურიდიული პირების მიხედვით. შედეგად,

⁷⁰ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

⁷¹ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის N8 დადგენილება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღებ შემოსავალზე.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბიუჯეტით პროგნოზირებული დასუფთავების მოსაკრებელი განსაზღვრულია წინა წლებში მიღებული თანხის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა შესაძლებელია, სუბიექტური იყოს და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ რეალურად მისაღები შემოსავლისგან, რომლის ამოღებაც განხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გადამხდელი იურიდიული და ფიზიკური პირების სრულად აღრიცხვისა და მათზე დაყრდნობით შემოსავლების პროგნოზირების შემთხვევაში.

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა მისაღები შემოსავლის სრული აღრიცხვა. შედეგად, მუნიციპალიტეტი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღებ შემოსავალზე.

2.5 შიდა აუდიტი

2.5.1 შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება.

სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.⁷²

გამოვლენილი გარემოება: 2018-2019 წლებში შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულია 13 აუდიტი, მათ შორის: ა(ა)იპ-ებში – 7, მერიის სტრუქტურულ ერთეულებში – 5, ხოლო მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის შედეგებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე – ერთი აუდიტი.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები (მიგნებები). შიდა აუდიტის ანგარიშების შესწავლით გაირკვა, რომ არ არის გაანალიზებული დარღვევების გამომწვევი მიზეზები და შიდა კონტროლის პროცედურები, არ არის გამოვლენილი სისტემური ხასიათის რისკები. გამოვლენილ დარღვევებზე გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები. ამასთანავე, არ არის შედგენილი და აუდიტის ობიექტისათვის წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2018-2019 წლებში არასათანადოდ არის მომზადებული საქმიანობის წლიური ანგარიშები, რომლებშიც არ არის ასახული კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია:

- ⌋ ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები აუდიტის ობიექტებში არსებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ;
- ⌋ შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული შესაბამისი ქმედებები;
- ⌋ წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ.

⁷² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

დასკვნა

შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესებისა და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები. ამასთანავე, შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებასა და დასახული მიზნების მიღწევას, რისკების მართვასა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია N5

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარად წარმართვა, რომ შესაძლებელი იყოს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლა და შეფასება, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა. მიღებული შედეგების საფუძველზე სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობის, პროდუქტიულობის გაზრდასა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

2.6 წინა პერიოდის

აუდიტი

2.6.1 წინა პერიოდში
ჩატარებული აუდიტის
შედეგად გამოვლენილი
დარღვევა-ნაკლოვანებების
მდგომარეობა

გამოვლენილი გარემოება: 2017 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ 2017 წელს გამოვლენილი კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსასწორებლად გატარებულია სხვადასხვა ღონისძიება. აუდიტის შედეგად გამოვლენილ 4 გარემოებაზე მუნიციპალიტეტს განხორციელებული აქვს რეაგირება, ხოლო 3 დარღვევა-ნაკლოვანება შესაბამისი რეაგირების გარეშე დარჩა. გარემოებები, რომლებზეც მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია რეაგირება, ვრცელი ფორმით განხილულია მიმდინარე აუდიტის ანგარიშის შესაბამის ნაწილებში.⁷³

მუნიციპალიტეტი (შესაბამისი პასუხისმგებელი პირები) ვალდებული იყო გაეტარებინა საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის ანგარიშებში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორებისათვის და შედეგების მისაღებად, რაც სისრულის თვალსაზრისით, არ განხორციელებულა.

აუდიტორები

ხელმოწერა

ბადრი ჯანჯღავა
წამყვანი აუდიტორი

ეთერ კაცაძე
აუდიტორი


⁷³ 2.1.1 ბიუჯეტის შესრულებისა და ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები.

2.4.1 ტენდერის გვერდის ავლით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის არასწორი ფორმის შერჩევა.

2.4.5 საკრებულოს წევრების ანაზღაურება.

ირმა ხეცურიანი
აუდიტორი

ნინო ზრეგვაძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი



საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38